საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო

09/01/2026

MES 8 26 0000007783

ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის "ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაციის" ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის არაგეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის, „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა" და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან" საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობაში მოყვანისა და კვალიფიკაციის კოდის ცვლილების შესახებ

1. გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები

1.1. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების" აკრედიტაციის დებულების (შემდგომში - აკრედიტაციის დებულება) 31-ე მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, აკრედიტაციის პირობების შესრულების შემოწმება ხორციელდება გეგმიური და/ან არაგეგმიური მონიტორინგის გზით.

1.2. აკრედიტაციის დებულების 31-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, არაგეგმიური მონიტორინგი ხორციელდება საბჭოს შუამდგომლობით, ცენტრში საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტების შესრულებასთან დაკავშირებით წარდგენილი საჩივრის საფუძველზე და/ან ცენტრის ინიციატივით.

1.3. აკრედიტაციის დებულების 31 - ე მუხლის 25 - ე პუნქტის მიხედვით, იმ შემთხვევაში თუ, აკრედიტაციის პირობების შესრულების შემოწმების შედეგად დადგინდება, რომ დაწესებულების მიერ ყველა რეკომენდაცია შესრულებულია, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას მონიტორინგთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის თაობაზე.

2. აღწერილობითი ნაწილი და დასაბუთება

2.1. ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის "სამედიცინო რეაბილიტაციისა და ჯანდაცვის მენეჯმენტის" ინგლისურენოვან სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას აკრედიტაცია მიენიჭა 2016 წლის 16 აგვისტოს №99 გადაწყვეტილებით. პროგრამა ითვალისწინებდა 2 მოდულს, 1. ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის მაგისტრის და 2. ჯანდაცვის მენეჯმენტის მაგისტრის კვალიფიკაციებით. ჯანდაცვის მენეჯმენტის კვალიფიკაციის ინგლისურენოვანმა საგანმანათლებლო პროგრამამ აკრედიტაცია გაიარა აკრედიტაციის საბჭოს №215719, 27/02/2025 გადაწყვეტილებით. ცენტრში შპს ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტმა 2024 წლის 26 ნოემბრის №2025/799 წერილით (ცენტრში რეგისტრაციის №534209, 16/05/2025) წარმოადგინა "ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაციის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში, პროგრამის "ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა" და "სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან" შესაბამისობაში მოყვანის მიზნით.

2.2. "აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნისა და ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის "ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაციის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე არაგეგმიური მონიტორინგის განხორციელების შესახებ" ცენტრის დირექტორის 2025 წლის 23

ივნისის №723454 ბრძანების საფუძველზე, შეიქმნა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფი, რომელსაც დაევალა ცენტრში 2024 წლის 26 ნოემბრის №2025/799 (ცენტრში რეგისტრაციის №534209, 16/05/2025) წერილით წარმოდგენილი "ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაციის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან" და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან" შესაბამისობის შეფასება.

2.3. საბჭომ შეისწავლა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია.

2.4. ზეპირი მოსმენა გაიმართა 2025 წლის 19 დეკემბერს. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ სრულად გაიზიარა ექსპერტთა შეფასება.

შესაბამისად, საბჭომ მიიჩნია, რომ "ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაციის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს" და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორს". აქედან გამომდინარე, მიზანშეწონილია შეწყდეს "ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაციის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე არაგეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება.

3. სარეზოლუციო ნაწილი

აკრედიტაციის დებულების 27^2 - ე მუხლის პირველი პუნქტის, 31-ე მუხლის 25 -ე პუნქტის, 30-ე მუხლის მე-3 პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ „სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისი №233 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად,

გადაწყვიტა:

1. შეწყდეს ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის "ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაციის" ინგლისურენოვან სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე არაგეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება.
2. მიჩნეულ იქნეს, რომ ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის "ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაციის" ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა" და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორს".
3. საგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცეს უფლება "ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაციის" ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა განახორციელოს დანართი №1-ით განსაზღვრული მონაცემების მიხედვით;
4. ცნობილ იქნას აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის "ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაციის" ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №2).

5. ცნობილ იქნას საბჭოს 2026 წლის 09 იანვრის №1261 ოქმის №03 ნაწილი ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №3);
6. საბჭოს გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2026 წლის 09 იანვარს.
7. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, შესაძლებელია გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64, აღნიშნული გადაწყვეტილების კანონმდებლობის შესაბამისად გაცნობის დღიდან, ერთი თვის ვადაში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭოს
მდივანი
კელიხაშვილი ვაჟა

საგანმნათლებლო პროგრამების აკრედიატციის საბჭო
თავმჯდომარე
ლევან შავაძე